ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6334965

ნომერი: AR1942574

თარიღი : 30.12.2022

გაცემის თარიღი : 20.02.2023

გაცნობის თარიღი : 20.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 58ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ გიგაური პ/ნ 01017014968
- თბილისი ვაჟა-ფშაველას მე-6კვ.38კ.ბინა43.

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზურაბ გიგაური

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს"აიკონია კაპიტალი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401995980
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სეტ ედვარდ ბლაი ჩერ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01891005108

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3372225 გაგრძ.5127792. 02/10/2020
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.07.2017

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 3 მაისის №1-1007 ბრძანების აღსრულების ფარგლებში, სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა თამარაშვილი, №13, (ნაკვეთი №4/51), შპს "იკონია კაპიტალი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.16.004.051) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 4 ივლისიდან 2019 წლის 4 ნოემბრის ჩათვლით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 ოქტომბრის №1-2243 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ჯამბულ ბახტაძის, მერაბ კახიანის და გიორგი ჯიქიას ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანება.
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით (საქმე №3/6921-17) შეჩერდა სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანების მოქმედება მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებამდე.
თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის (საქმე №3/6921-17) გადაწყვეტილებით ჯამბულ ბახტაძის, მერაბ კახიანის და გიორგი ჯიქიას სარჩელი არ დაკმაყოფილდა (სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანების და მერიის 2017 წლის 16 ოქტომბრის №1-2243 ბრძანების ბათილად ცნობა).
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის (საქმე №3ბ/1218-19) განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება. ხოლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2 0 2 0 წლის 17 ივნისის (საქმე №ბს-125 (2კ-20) განჩინებით ჯამბულ ბახტაძის და მერაბ კახიანის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად.
სამსახურის 2020 წლის 02 ოქტომბრის №5127792 ბრძანებით დაკმაყოფილდა შპს „აიკონია კაპიტალის" წარმომადენლის განცხადებები და გაშვებული ვადის აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 2 ოქტომბრიდან 2023 წლის 2 თებერვლის ჩათვლით, 2020 წლის 2 სექტემბრის №AR1770753 განცხადებით წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
2022 წლის 30 დეკემბრის №AR1942574 განცხადებით, შპს „აიკონია კაპიტალის" წარმომადენლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 ოქტომბრის №1-2243 და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის (საქმე №3/6921-17) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანება, რომლითაც გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადაში უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი იქნა განცხადება მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების თაობაზე, 2022 წლის 30 დეკემბრის №AR1942574 განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ზურაბ გიგაურის 2022 წლის 30 დეკემბრის №AR1942574 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანებაში: ბრძანების მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 20 თებერვლიდან 2025 წლის 20 აპრილის ჩათვლით.".
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის N3372225 და 2020 წლის 2 ოქტომბრის № 5127792 ბრძანებ(ებ)თან

ერთად.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.